საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2698 2019 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ს/კ: №404923785) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით,

უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

N	მისამართი	ფართი	უძრავი ქონების დანიშნულება	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	ქალაქი წალკა , სოფელი ხადიკი	9350.00 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო	85.21.22.010
2	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი განახლება , მიმდებარე ტერიტორია	10000.00 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო	82.06.43.128
3	მუნიციპალიტეტი ახალქალაქი , სოფელი კოთელია	10000.00 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო	63.06.31.044